სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

!!ყველას საგულისხმოდ!!
31 მაისიდან **მცხეთის** სადგურის მახლობლად 200 საჟენის მანძილზე (ბეჟანოვის საგარაკოში)
სასეირნო ბაღი
**არმაზი**
ბაღში იქნება მუდმივ ევროპიული და ადგილობრივი საჭმელ-სასმელი.
ავდრებისა და უამინდობის დროს ბაღში გამართულია ფარდულები და ოთახები.
ეზოში მშვენიერს აუზში სასმელი წყალია წყაროდგან,
ცოცხალი თევზები
**ყველაფერი იაფად**
მშვიდობიანობა და სიწყნარე ყოველთვის დაცული იქნება.
(40—36) ქ. ჩხარტიშვილი

**გაფრთხილება**
რადგან ამ უკანასკნელ ხანებში ჩემი ფირმის ეტიკეტს (წარწერას) ყალბად ბეჭდავენ სხვა მექარხნეები, ამიტომ ვსთხოვ ჩემს მუშტრებს, რომ ყურადღება მიაქციონ ჩემს გვარს **ნ. ბოზარჯიანცი** (**Н. Бозарджіанцъ**).
პატივისცემით ტფილისის თამბაქოს მექარხნე
(5—5) ნ. ი. ბოზარჯიანცი




ღვინის სარდაფი
**„იყალთო“**
თ. გიორგი და ლუარსაბ მაყაშვილებისა
გოლოვინის პროსპექტი, თავ. კ. ორბელიანის სახ. № 15, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი
**იყალთო**
ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე, ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**
Князя Г. и Л. Макаевыхъ
подъ фирмой
**„ИКАЛТО“**
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. К. Орбеліяни, № 15. (75—15)

ქალ-ვაჟთა სკოლა
**ელენე ლუკას ასულის ბახტაძისა**
დ. ხონში
პირველ სექტემბრიდამ ამა 1898 წლისა, ნება-რთვით ბ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, გადაკეთებულ იქმნება ოთხ-კლასიან
**საქალებო პროგიმნაზიად**
მოსწავლეთა გამოცდა უმცროსს და უფროსს მოსამზადებელ და აგრეთვე პირველ პროგიმნაზიულ კლასებში გაგრძელდება 1-დამ 10 სექტემბრამდე. ეგზამენები იქნება ყოველ-დღე, ნაშუადღევის 2 საათამდის.
თხოვნები უნდა გამოიგზავნოს პროგიმნაზიის უფროსის ელენე ბახტაძის სახელობაზე.
სწავლის საფასური მოსამზადებელში **30**, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში **50** მან. წელიწადში. (15—7)

Ресторанъ ◆ обѣды и ужины ◆ «Южные номера»
ახლად გამართული რესტორანი
**„იუჟნი ნომერა“**
ტფილისი, ბარონის ქუჩაზე
ყოველთვის იშოვება მშვენივრად და გემოიანად გაკეთებული
სადილ-ვახშამი და საუზმე
ხორაგი ყოველთვის ახალი და სუფთაა
რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები
იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით
**ფასი ყველაფრისა იაფია**
(30—17) პატივისცემით ილია აბრამიშვილი
Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины, дешевизна



**მაქსის ცირკი**
მიხეილის ქუჩაზე, მადერის მამული
ხუთშაბათს, 27 აგვისტოს
პირველი სადღესასწაულო წარმოდგენა სამს განყოფილებაში.
მონაწილეობას მიიღებს გამოჩენილი გიმნასტი **ლვოვი** და მოჯირითე **პიერი**.
გაწვრთნილ ცხენებს გამოიყვანს ცირკის დირექტორის ცოლი მაქსისა
კომიკური და სამასხარო გამოსვლა გამოჩენილის კლოუნის **მაქსისა**.
**დასასრულ გაიმართება ბალეტი**
დასაწყისი 8 საათზე
ანტრაქტებში დაუკრავს მუსიკა
ფასები **30** კაპ. მოყოლებული **4** მანათამდე.

**კბილის ექიმი**
ალექსანდრე სოლოლაშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ-დღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე
მიხეილის ქუჩა № 32
(30—3)

სამკურნალო და ამბულატორია
**ს. გ. თოფურიასი**
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ფ. ბაცევიჩი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.

სამკურნალო დირექტორი **ს. ბ. თოფურია.**

***Лѣчебница С. В. Топуріа*** въ Кутаисѣ.

## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

ხელმწიფე იმპერატორმა, უწმ. სინოდის გარდაწყვეტილების თანახმად, უოვლად უმოწყალესად კეთილ ინება და 11 ამა აგვისტოს უბოძა 50 წლის სამსახურისა გამო, საქართველოს ეგზარქიის პატარა მეჯვრისხევის მიძინების ეკკლესიის მღვდელს გიორგი ხახუტაშვილს ორდენი წმ. ვლადიმირის მე-4 ხარისხისა.

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო კოლეჟსკი სეკრეტრობა სიღნაღის სამაზრო პოლიციის გამგეობის შტატს გარეშე მყოფ მეცხრე კლასის მოხელეს იოსებ ზალდასტანიშვილს; გუბერნსკი რეგისტრატორობა—თელავის სახაზრო პოლიციის გამგეობის მეათე კლასის მოხელეს, თავად ლუარსაბ მაყაშვილს და კოლეჟსკი რეგისტრატორობა—თიონეთის სამაზრო პოლიციის გამგეობის კანცელარიის მოხელეს ვასილ იორამაშვილს.

# ახალი ამბავი

⁂ კანცელარია მთავარ-მართებლისა დაბრუნდა კოჯორიდან და დღეიდან საქმობა ტფილისში ექნება.

⁂ **მსაჯულნი და მოსამართლენი კავკასიაში.** როგორც გაზეთები იუწყებიან, ამიერიდან კავკასიაში უთუოდ უნდა ადგილობრივი მცხოვრებნი იყვნენ მომრიგებელ-მოსამართლედ და მათს თანაშემწედ, რათა იმ ხალხის ენა იცოდნენ, სადაც მოსამართლენი მართლ-მსაჯულებას ასრულებენო.

⁂ **დარღვეული მფლობელობის აღდგენა.** გაზ. „კავკაზ“-ის სიტყვით, აზრათა აქვთ საქმის უკეთ წარმოებისათვის ის საქმენი, რომელნიც დღემდე სასამართლოს ექვემდებარებოდა შესახებ მამულების თუ საკუთრების ანუ მფლობელობის დარღვევაზე, გადაეცეს პოლიციას, რომელმაც უნდა აღადგინოს კიდეც დარღვეული მფლობელობა.

⁂ **საკლავის დაზღვევა.** როგორც ისმის, ტფილისის სასაკლაოზე უნდა შემოიღონ დაზღვევა საკლავისა. თუ საკლავი რაიმე ავადმყოფობით ანუ სენით შეპყრობილია და მისი გასყიდვა შეუძლებელია, რითაც ზარალი ეძლევა ხოლმე ამ გვარი საქონლის პატრონებს, ხოლო ასეთი საქონლის პატრონის უზრუნველ-საყოფელად შემოღებულ იქმნება ეგრედ წოდებული საკლავის დაზღვევა. ყველა მეყასბენი თუ სხვანი შეიტანენ ხოლმე თვითეულ საკლავზე სხვილ ფეხზე 10 კაპ., ღორზე 15 კაპ. და წვრილ-ფეხ საქონელზე 1 კ. ამ რიგად შემდგარ ჯამიდან მისცემენ ხოლმე პატრონს ღირებულ ფასს დაკლულ ავადმყოფი საქონლისას.

⁂ **ქ. ბათომის სესხი 600,000 მან.** როგორც ისმის, უმაღლესს მთავრობას თანხმობა გამოუცხადებია ქ. ბათომის თხოვნაზე შესახებ 600,000 მანათის სესხისა ობლიგაციონურის წესით. ქ. ბათომს ეს ფულები სჭირდება მრავალი დაუყონებლივი საჭიროებისათვის, როგორც მაგალითად სკოლებისა, ქალაქის ლომბარდისა და სხვა საჭირო შენობებისათვის.

⁂ **ქართული ეკკლესია კავკავში.** როგორც უწმიდეს სინოდს, ყოვლად სამღვდელო კავკავის ეპისკოპოსის შუამდგომლობის თანახმად, გადაუწყვეტია ათასი მანეთი გადასდოს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კავკავის სკოლასთან ეკკლესიის ასაშენებლად.

ამ ეკკლესიაში წირვა-ლოცვა ქართულად იქმნება კავკავის ქართველობისათვის.

⁂ **ქალაქი ბათომი ოცის წლის განმავლობაში.** ამ თვის 25-ს შესრულდა სწორედ ოცი წელიწადი, რაც ბათომი რუსეთს ეკუთვნის (1878—1898). ამ ხნის განმავლობაში ბათომი საოცარის ნაბიჯით დაწინაურდა. თუ 1878 წელს ბათომში 3,000 მცხოვრები იყო, ეხლა ათჯერ მეტია, ესე იგი 30 ათასზე მეტი. როგორც გაზეთი „ჩერნ. ვესტ.“-ი იწერება, ამ ჟამად ბათომში მრავალი ქარხნები, სახელოსნოები, დიდი ვაჭრობა, მრავალი გემები და სხვა მოძრაობა ბათომს პირველ ქალაქად ხდის მთელს კავკასიაში. ბათომში არის ეხლა ვაჟების გიმნაზია, სახელოსნო სასწავლებელი, საქალებო სასწავლებელი, ქართველთა სკოლა, ბერძენთა სკოლა, სამრევლო სკოლა, ოთხი კერძო სასწავლებლები და სხვა.

ბანკები: სახელმწიფო საკომერციო, სამრეწველო და საურთიერთო.

ბათომში გამოდის ერთი რუსული გაზეთი, არსებობს სამი სტამბა, სამი წიგნის მაღაზია.

ამ ჟამად ბათომს ეძლევა სესხად 600,000 მან., რომელიც უნდა მოახმაროს სხვა და სხვა საჭირო შენობებს, როგორ მაგალითად სავაჭრო ქარვასლას, საქალაქო საბჭოს, გიმნაზიას და სხვა და სხვა საჭიროებათა.

ქალაქის დღეგრძელობა დამოკიდებულია ქალაქის საბჭოსა და გამგეობაზე და ამ მხრივ აწინდელმა საბჭომ და გამგეობამ, რომელთ წევრთა შორის უმრავლესობა ქართველობაა, ბევრი ნიჭი, ცოდნა და ფხა გამოიჩინა და იმედია ქართველობა კვლავაც მოწინავე დასად იქნება ბათომში.

⁂ **ისტორიული ცნობა ბათომზე.** ეხლანდელი ბათომი არსებობდა ქრისტეს შობამდე თითქმის ათასი წელიწადი.

ქრისტეს შობიდან 70 წლებში ბათომი ეკუთვნოდა რომაელებს. შემდეგ ბათომი შეადგენდა საქართველოს ნაწილს მეფე ვახტანგ გორგასლანის დროს. ერთხანად ბათომი შეადგენდა გურიის სამთავროს ნაწილს. მეხუთმეტე საუკუნეში ბათომი გურიას წაართვა ოსმალეთმა და მასთან მთელი ლაზისტანი. მაგრამ 1564 წელს ბათომი ისევ დაიბრუნა როსტომ გურიელმა, მაგრამ დიდის ხნით ვერა. 1609 წელს მამია გურიელი შეებრძოლა ოსმალეთს, გაწყვიტა მტერთა ჯარი და ბათომიც დაიბრუნა, მაგრამ ბოლოს ოსმალეთმა ყოველი ძალ-ღონე შემოიკრიბა და ბათომი და მთელი აჭარა ლაზისტანი დაიმორჩილა, რომელსაც თითქმის სამასი წელიწადი მფლობელობდა, უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომამდე.

⁂ **კურს დამთავრებულნი საბაღოსნო სკოლაში.** 25 აგვისტოს, ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში კურსი დაამთავრა 12 მოწაფემ. იმათგან ხუთი ქართველებია. ბარნოვი მ., ბიაშვილი გ., ლიჩელი მ., ყიფიანი გ. და ციციშვილი ვ. დანარჩენთაგანი სამი სომეხია, ორი ლეკი, ერთი გერმანელი და ერთიც პოლონელი.

⁂ **ეკკლესია ნაძალადევში.** ნაძალადეველებს განუზრახავთ „ნაძალადევში“ ააშენონ მართლ-მადიდებელთათვის ეკკლესია და ამ აზრით ამოურჩევიათ კომიტეტი, რომლისათვისაც მიუნდვიათ ფულის მოგროვება ეკკლესიის ასაშენებლად. ამ დღეებში ამ კომიტეტის წევრთა სია წარუდგინეს დასამტკიცებლად მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს ფლაბიანეს.

ქალაქის გამგეობა ნაძალადევში მცხოვრებელთა 500 კომლს აძლევს 600 ოთხ-კუთხ საჟენ მიწას საეკკლესიოდ.

⁂ **უპატრონო ღორების გაწყვეტა.** რადგანაც ქალაქის ქუჩებში ხშირად ღორები უპატრონოდ დადიან, ამიტომ გუშინ-წინ პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციის ბოქაულებს, თუ ქუჩაში ვისიმე ღორი ნახოთ, მაშინვე დაიჭირეთ და გაყიდეთ, როგორც უპატრონოო.

⁂ **ჟურნალი „ჯეჯილი.“** გამოვიდა დაურიგდა ხელის მომწერლებს ჟურნალი „ჯეჯილის“ № VII და VIII შემდეგის შინაარსით: „ყმაწვილი და ციყვი“ ლექსი—შ. მღვიმელისა, „თოფ-ხმლის საუბარი“ მოთხრობა—დ. თომაშვილისა, „პატარა პუმის თავ-გადასავალი“ თარგმანი—ვანოსი, „ყმაწვილი და ფუტკარი“ ლექსი—დ. თომაშვილისა, „აფრიკის სპილო“—კოტესი, „ლიუდვიგ ბეთჰოვენი“ ბიოგრაფია, თარგმანი—ან. წერეთლისა, „ღორი“ ლექსი—ვანო ბირკაძისა, „ფიზიოლოგიური წერილები“ წერილი VI—ივ. გომართელისა, „შალვა და თამრო“ სურათი—მარიამ დემურიასი, „მარიამობა—გ. წყალტუბელისა, „ვეშაპი“—პეტრესი, „ნიშნების გამოცხადება“ (შეგირდის დღიურიდან“—მირზასი, „საკვირველებანი ბუნებისა № 17 მწერიჭერია—ლადო აღნიაშვილისა, „მგლების ნადირობა“ (ნამდვილი ამბავი—მ. მეშენგელისა, „სამშობლოსთვის თავდადებული“—თეოფ. კანდელაკისა, „სამეცნიერო გასართობი № 7 ეშმაკის მოვლინება“—ბორასი, „საჩივარი მებაღეზე“—ალ. მ—შვილისა, „პატარა ხუროები“—თეოფ. კანდელაკისა, წვრილმანი: ხალხური ლექსები, ანდაზები, გამოცანები, აკროსტიხი, შარადა, რებუსები და სხვ.

⁂ **მადლობის გამოცხადება.** ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელთაც შრომა გასწიეს და დ. ხონში ამ ზაფხულს გამართეს წარმოდგენა ჩემს სასარგებლოდ. განსაკუთრებით მადლობის ღირსნი არიან გამგე ამ წარმოდგენისა კნ. პელაგია მაყაშვილისა და იმისი ხელის შემწყობნი ქ. ო. წერეთ-

ლისა და რეჟისსორ ბ. ფ. ქორიძე. აგრეთვე მადლობას ვუძღვნი ყველა იმ პირთ, რომელთაც თამაშობა არ დაიზარეს; ეს პირნი არიან: ქქ. მ. ბახტაძე, მ. ქუთათელაძე, ნ. ქუთათელაძე, ა. ლორთქიფანიძე, ბბ. ი. მაყაშვილი, პ. მდივანი, პ. კიკალიშვილი, ის. ქუთათელაძე, ს. ბახტაძე, ვ. ჩარგეიშვილი, ვ. თარგამაძე და სხვ. აგრეთვე დიდს მადლობას ვუძღვნი საზოგადოებას. ამ წარმოდგენიდან წმინდა შემოსავალი დარჩა 100 მ., რომელიც სულ მივიღე.

სტ. მ.

*** **დ. ხაშური.** ამ დღეს აქ ქართული წარმოდგენა იყო დანიშნული; საღამოზე, როცა კასსა გამართეს კარებში, რამდენიმე ქალელ გლეხებმა გამოიარეს, რომლებიც ცოტა შეზარხოშებულიყვნენ. ერთმა წამოჰკრა ხელი მაშხალას, რომელიც საგანგებოთ კარებში გაეკეთებინათ, კასსირმა შენიშვნა მისცა, — რას გიშლის, ხელს, რათ ახლებო, მიდიხარ შენთვის გაიარე!.. ქალელმა არც აცივა, არც აცხელა, აიღო ერთი დიდი ქვა და ესროლა კასსირს. კიდევ კარგი არ მოხვდა, თორემ იქვე სულს გააფრთხობინებდა... კასსირს მიეშველა მ. წერეთელი, მივიდა და ქალელს ოდნავ ხელი ჰკრა, ქალელი წაიქცა. ეს იყო მიზეზი, და მოგროვდა კიდეც მთელი ქალა ბაღის კარებთან... დიდი უბედურება დატრიალდებოდა, რომ იქ არ შესწრებოდა თ. დ. აბაშიძე. ამ თავადმა ბევრი სთხოვა გლეხებს დამშვიდებულიყვნენ, მაგრამ ვერა გააწყორა... სულ იმას გაიძახოდნენ, — მოგვეცით აქ ეგ ვიღაცა კამენდიაჩიკები არიანო... დ. აბაშიძემ რაკი ხვეწნით ვერაფერს გახდა, იძრო ხმალი და პრტყლად დაუწყო ცემა გლეხებს, გლეხები გაიფანტნენ. აკრიფეს ქვები და დაუშინეს ბაღს. ერთის სიტყვით, ამბოხება არისო, გეგონებოდათ ეს სანახაობა. განა მამასახლისი იქ არ იყო? იყო!.. მათრახიც ეჭირა ხელში... ერთი გზირიც იყო, მაგრამ რა გამოვიდა? იმის მაგიერ, რომ სასტიკი ზომები მიეღოთ, ცარიელი სიტყვით ამშვიდებდნენ ამ გალექშულ ხალხს, რომელთაც არაფერი ესმოდათ... არ ვიცი რა მოხდებოდა, რომ ისევ იმ დ. აბაშიძეს არ გამოეტანა თოფი და იმითი არ გაერეკა ეს მთვრალი ქალელები. ამაზე მეტი უპატრონობა გაგიგონიათ სადმე?

კოლა

*** **ს. აბაშა** (სამეგრელო). ანგარიში და მადლობა. 15 აგვისტოს ჩვენი ღრმა ძილში ჩაფლული საზოგადოება გამოაღვიძა და გაამხიარულა ქ. გაბუნია-ცაგარლის მიერ დადგმულ წარმოდგენამ, წარმოდგენა იყო ქ. ელპიდა თოფურიძის თაოსნობით, აქაურ სამრევლო საეკკლესიო სკოლის სასარგებლოდ. წარმოადგინეს „ბიძიასთან გამოხუმრება“ რ. ერისთავისა და „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან“ ვ. გუნიასი.

წარმოდგენიდან სრული შემოსავალი იყო 59 მან. აქედან ყოველივე ხარჯის გამორიცხვით სკოლას წმიდათ დარჩა 30 მან. რომელიც გამგემ წარმოდგენისამ გადმომცა მე. ამ ნაირად ეხლა ხსენებულ სკოლის სასარგებლოდ ორი წარმოდგენიდან შემოსული გვაქვს 73 მან. რომელიც მიცემულია სკოლისთვის სახლის საყიდლათ.

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ, როგორც ჩემის მხრით, აგრეთვე რწმუნებულ ჩემდამო სამრევლოთაგან ქ. გაბუნია-ცაგარლისას, რომელიც დაუღალავად შრომობს და კვლავაც მზად არის იშრომოს ჩვენი სკოლის სასარგებლოდ.

ქ. ელპიდა თოფურიძეს, რომელმაც ბევრი შრომა, წვალება და ტანჯვა გასწია ამ წარმოდგენების გამართვაში. თ. ა. ფაღავას და ბ. ნ. გაბუნიას, რომელნიც ყოველთვის მზად არიან შრომა გასწიონ ასეთ საკეთილო საზოგადო საქმისათვის. აგრეთვე მადლობას ვსწირავ, ყველა იმ პატივცემულ პირთ, რომელნიც მობრძანდნენ და დაესწრნენ წარმოდგენას.

საზოგადოთ ყველასაგან მადლობის ღირსია ქ. გაბუნია-ცაგარლისა, რადგან ის აგრე ხშირათ პროვინციებში მართავს წარმოდგენებს და აცნობს მას მდაბიო ხალხს.

აბაშის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი რაჟდენ ქალაგანიძე

*** **მაიდანი** (იმერეთი). საუცხოვო ამბავი (ქვა-სროლია). მაიდნის მცხოვრებმა ნიკო კობულიამ რამდენჯერმე მიჰმართა სოფელს თხოვნით, რომ შემწეობა მოეცითო ამ უბედურების შესახებ. ამ ქობულიას შეეჩვია, როგორც აქ ეძახიან, ქვასროლია. ეს ორი წელიწადია ყოველ ზაფხულს ეს ქვასროლია მოდის და ისვრის ქვებს და ბელტებს. სხვათა შორის წელს თურმე ოთახში ქობულიას ოჯახობა ერთად ისხდა, ამ დროს დაუშინეს ქვები. ქობულიამ იმ წამსვე მიჰმართა მამასახლისს და მამასახლისმა გაატანა რამდენიმე კაცი ყარაულად, რომელნიც შეუდგნენ ქვა-სროლიას ძებნას, მაგრამ ვერ ნახეს ვერაფერი, მხოლოდ უყურებდნენ, როგორ ისროდა ვიღაცა ქვებს. ძლიერ შეწუხებული და შეშინებული არის ეს ქობულია, მაგრამ რა ქნას, ვერაფერი ღონისძიება ვერ იხმარა იმის მოსასპობლად. სასურველია, ამ ამბავს ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდეს, ვისიც ჯერ არს და ხალხს დაამშვიდებდეს.

გ. ლორთქიფანიძე

*** **ს. საქარა** (იმერეთი). მოსავლის პირი. მახლობლად ზესტაფონისა გაშენებულია სოფელი საქარა. ბუნება ამ სოფელს დიდათ სწყალობს. თითქმის ყოველ წლივ უხვი მოსავალი იცის. მართალია ის ოხერი „ფილოქსერა“ რომ გაუჩნდა ვენახებს აქეთ ჩვეულებრივ ვეღარ ვითვრებით, მაგრამ წრეულს, დაილოცოს ღვთის ნაკურთხი, ყურძნის და სხვა ჰინახულის მოსავალს კარგი პირი უჩანს. აქაურ მცხოვრებლებსაც დაეტყოთ გამოფხიზლება სკოლას და სხვა კარგ დაწესებულებას სასარგებლოდ უყურებენ.

— **კეთილი საქმე.** აქ საყურადღებოა ბ. ს. გველესიანის შრომა, რომელმაც სკოლის შენობის დადგმა იკისრა თავის ხარჯით და სხ... თუმცა ჯერ არ არის მოთავებული, მაგრამ სრული იმედი გვაქვს ბ. გველესიანი მალე კეთილსაიმედოთ დააბოლოვებს თავის კეთილ განზრახვას.

— **ქურდობის მოსპობა.** ჩვენში ღამის რაინდებს და ქურდ-ბაცაცებს მოეღოთ ბოლო, რის გამოც ძრიელ მშვიდობიანად გვძინავს, თუ კიდევ არ გასწყრა ღმერთი და ახლად თავი არ იჩინეს.

— **მუშაობა შავს ქვაზე.** თითქმის სამი წელიწადია უფულობით დასჯილი ვიყავით, ასე რომ საწყალ აქაურ გლეხს ნავთის და საპონის ფული უჭირდათ. ამ ჟამად შავი ქვის ზესტაფონში გადმოტანა შემოსავალს აძლევს ბედისაგან დასჯილ გლეხებს. ჩვეულებრივი ჯაფა მართალია კი არ შორდებათ, მაგრამ ნაყოფიც ცოტა შვებას აძლევთ.

მ. საქარელი

## რედაქციისაგან

**ტფილისში.** ნაცვალოვს. თქვენი წერილი «წარმოუდგენელი სურათი» ვერ დაიბეჭდება.

## სამეცნიერო ცნობა

მტაცებელი თუთიყუშები. ახალ ზელანდიაში ცხოვრობენ უცხო ჯიშის თუთიყუშები, რომელთაც იქაური მცხოვრებლები კვას ეძახიან (Nestor notalivus). ამ თუთიყუშებმა იქაური მცხოვრებლები ამ უკანასკნელ დროში სრულებით დააფიქრეს და დაანაღვლიანეს, იმიტომ, რომ ისინი შეუბრალებლად ქლეტავენ ცხვრის ფარებს, ცხვრები, როგორც ყველას მოეხსენებათ, განთქმულნი არიან არამც თუ სულელობით, არამედ გაძლიერებითაც, ყოველმა მცხოვრებმა კარგად იცის, რომ თაგვეაი ცხვირებს კურტუმებს უჭამენ და აი სწორედ აქ შეგიძლიანთ შეჰნიშნოთ ცხოველების სულელობა და გაძლება. ცხვრებს თაგვები რომ შემოესევიან, როდი ფიქრობენ, რომ მტერი რაიმე გზით თავიდან მოვიშოროთო, არამედ ერთად შეიკრიბებიან, ერთი მეორეზე ხტის, აჯდება, რომ თაგვებმი დაგვაკლონო და ძალიან ცოტას იბრძვიან, რომ სისხლის მწოვლები თავიდან მოიშორონ. აი სწორედ ამისთანავე მტრებად გამხდარან ამ უკანასკნელ დროში ახალ ზელანდიის თუთიყუშები, რომლების გასაწყვეტად დანიშნულია შესამჩნევი საჩუქარი. აი როგორ იქცევა კეა საჭმლის შოვნის დროს:

დააჯდება ხოლმე ცხვარს წელზე, გამოჰჯიჯგნის მატყლს გაჰგლეჯავს ნისკარტით ხორცს და შეექცევა დუმით, რომელითაც თავით ბოლომდე დაფარულია ცხვრის ტანი, ცხვრები კი სდგანან და ყურსაც არ იბერტყავენ. ამ თუთიყუშებმა ეს საქმე დიდი ხანი არ არის რაც შეისწავლეს და ამ გამოგონებით ახალ-ზელანდიის მცხოვრებლები დიდ ფიქრსა და განცვიფრებაში მოჰყავთ.

პავლე მოსულიშვილი

## სხვა-და-სხვა ამბავი

რა უჯდება ევროპას შეიარაღება. მთელი ევროპა, თურმე, ჯარის შენახვაზე ყოველ წლივ ხარჯავს, ერთ მესამედს იმ ხარჯისას, რაც სხვა საჭიროებაზე იხარჯება.

შარშან, თურმე, ჯარის და ზღვაოსნების შენახვა დასჯდომია:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისს | 374 | მილიონი მანათი, |
| საფრანგეთს | 350 — | — |
| რუსეთს | 347 - | — |
| გერმანეთს | 320 — | — |
| ავსტრო-უნგრეთს | 200 — | — |
| და იტალიას | 139 — | — |

ასე, რომ თითო მცხოვრებს ჯარის შენახვა უჯდება ინგლისში 9 მ. 70 კ., საფრანგეთში 8 მან., გერმანეთში 6 მ. 14 კაპ., ავსტრო-უნგრეთში 4 მ. 49 კაპ. და რუსეთში 2 მან. 66 კაპეიკი.

ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყოველი ჯარის კაცი შინ რომ ყოფილიყო, საქმობაში რასმე მოიგებდა და ასე თუ ისე ოჯახის შემწე იქნებოდა და თვით სახელმწიფო ბეგარასაც იხდიდა, მაშინ ხარჯი ერთი ორად მეტი ექნება სახელმწიფოებს ჯარის შენახვაზე. ამ რიგად რუსეთს

ჯარო უჯდება 740 მილიონი მან., საფრანგეთს 632 მილ. მან., გერმანეთს 621 მილ. მ., ინგლისს 330 მილ. მან., ავსტრო-უნგრეთს 288 და მებრვე სხვა.

ნ ი ხ რ ი,

დამტკიცებული 12 აგვისტოს

| | | |
|---|---|---|
| ძროხის ხორცი 1 ხარისხ. | | 7 კ. |
| სუკი გირვანქა | „ „ | 12 კ. |
| ცხვრის ხორცი | „ „ | 8 კ. |

# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ რადგანაც 10 აგვისტოს საჯარო ვაჭრობა ძაღლების დაჭერა-ამოწყვეტისა და დახოცილ პირუტყვთა გაზიდვის საქმის იჯარით აღების შესახებ არ მოხდა, ეს ვაჭრობა დანიშნულია 27 აგვისტოს, ნაშუადღევის 1 საათზედ

პირობების გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ გამგეობაში დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (3—3).

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 28 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, ამა გამგეობის თანადასწრებით, დანიშნულია საჯაროდ იჯარის გაცემა იმისი, თუ ვინ იკისრებს ცხენების საკვების მომზადებას, სასელდობრ: 70 ათასი ფუთი ქერისა, 60 ათასი ფუთი თივისა და 30 ათასი ფუთ. ბზისა. მსურველთ შეუძლიანთ პირობანი განიხილონ გამგეობის აღმაშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირაუქმე დღეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე. (4—3)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ქალაქის გამგეობაში დამდეგ სექტემბრის 7-ხა ამა წლისა, ნაშუადღევის 1 საათზედ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა იჯარით გაცემაზე ახლად შეკეთებულის ქალაქის ორ-სართულიანის ქარვასლისა [მიოევისსეული], რომელიც იმყოფება აბანოების კარებთან და რომელიც შესდგება ოთხი თვალი დუქნიდან და თორმეტი ოთახიდან თავის მოწყობილობით და ორის სარდაფით.

ვისაც ხსენებულ შენობის იჯარით აღება უნდა, შეუძლიან პირობები შეიტყოს გამგეობის სამმართველოში დილის 9-დან 2 საათამდე. (4—1)

იბეჭდება და მალე გამოვა

**გასაყიდად**

იმერული სცენები, კოტე მესხისა ჯუზეპე გარიბალდი, ბიოგრაფია უკანასკნელი მთავარი სვანეთისა ახუნდი, პოემა ვაჟაფშაველასი ნარა, მოთხრ. ჩოხატაურელისა საქვეყნო სიზმარი, ამბავი დ. მაჩხანელისა. (30 4)

## ურბენი  L'urbain

საზოგადოება, რომელიც აზღვევს თანხებს, მზითვებს, შემოსავლებს და სხვა. შეღავათიანის პირობებით ავადმყოფობისა თუ შეუძლებლობის დროსათვის.

დაზღვეულთ მონაწილეობა ემლევათ მოგებაში დაზღვევის პირველ წლიდანვე.

კონტორა ამიერ-კავკასიისა, ამიერ-კასპიისა, თურქესტანისა და ბუხარის მხრისათვის იმყოფება **ტფილისში**, მიხეილის ქ. № 9, პოპოვის სახლი. ტელეფონი № 543.

მთავარი რწმუნებული ბაგრატ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი
ინსპექტორი ნიკოლოზ გერასიმეს ძე ტერ-მათეუზოვი.

ცნობანი და ბარათები ყველას მიეცემა აგენტებისაგან მთელს რუსეთის იმპერიის ქალაქებში.

Контора страховаго общ. **„УРБЭНЪ“**
Тифлисъ, Михайловская № 9, д. Попова. Телефонъ № 543.
(50—34)

ახლად გახსნილი

# სტამბა „ცნობის ფურცლისა“

ტფილისი, სასახლის ქ., სათავად-აზნაურო ქარვასლაში №№ 119 120 და 121

✦✦ სტამბა ყოველისფრით სავსე და მოწყობილია ✦✦

ყოველგვარი საქმე სრულდება სწრაფად. სუფთად და იაფად.

სტამბა ასრულებს აგრეთვე პროვინციის მცხოვრებთა შეკვეთას, მსურველნი მიჰმართავენ სტამბას, რომელიც კისრულობს ხელ-ნაწერების აწყობას, დაბეჭდვას, ქაღალდის ყიდვას, კორექტურას, ენის შესწორებას, საცენზუროდან ნება-რთვის აღებას და სხ.

ჰბეჭდავს სავიზიტო ბარათებს სხვა-და-სხვა გვარ ქაღალდზე ვაჟებისა და ქალებისათვის იაფად და შნოიანად.

**ВОВНОВЬ ОТКРЫТОЙ**

# ТИПОГРАФІИ

## „Цнобисъ Пурцели“

В. Л. ГУНІА

Тифлисъ, Дворц. ул., д. Грузинскаго Дворянства.

Исполняются всевозможные заказы на всѣхъ Туземныхъ и Европейскихъ языкахъ

**Дешевизна, изящество и быстрота исполненія**

**Изданіе газеты «Казбекъ»,**

пріостановленное распоряж. г. Министра Внутр. дѣлъ, на 8 мѣсяцевъ возобновляется со **2**-го сентября 1898 г.

**Принимается подписка**

на общественную, политическую и литературную газету

# „КАЗБЕКЪ“

**Условія подписки:**

Съ доставкою во Владикавказѣ на одинъ годъ . . . **6** руб.
Съ пересылкою иногороднимъ » » » . . . **7** руб.
Съ сентября по 31 декабря 1898 г. какъ городскимъ, такъ и иногороднимъ подписчикамъ **два** рубля.

**Плата за объявленія:**

На 1-й страницѣ за 1 разъ 20 к. послѣдующіе разы 10 к. ) со строки
На 4-й » „ 1 » 10 к. „ » 5 к. ) петита

Отдѣлный нумеръ 5 коп.

Подписиваться можно съ 1-го числа каждаго мѣсяца и до конца года. Цолписка и объявленія принимаются во Владикавказѣ, въ конторѣ газ. «Казбекъ» у издателя С. І. Казарова. (12—3)

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

препомдаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сел.-хоз. кредита и препод. школы садоводства.**

Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—41)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 26 Августа 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (ვ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი **ვ. გუნია**